



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1298  
13/07/2018

ქალაქი ბათუმი

1298-05-4-201807131113



**ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 714 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 22.25.02.387) 152,2 კვ.მ მიწის ფართის სერვიტუტის ფორმით დატვირთვის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის, მოქალაქე კახა საკანდელიძის 2018 წლის 12 ივნისის №8322/05 განცხადების, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 ივნისის №44 განკარგულებისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 11 ივლისის №1968-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. მოქალაქე კახა საკანდელიძის სასარგებლოდ სერვიტუტის ფორმით დაიტვირთოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე 152,2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.25.02.387), ორი წლის ვადით.

2. მერიის იურიდიული სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებას (ლ. ბერიძე) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს მოქალაქე კახა საკანდელიძესთან ხელშეკრულება, ხოლო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. ბრძანება შეიძებნა გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა